



განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი  
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი  
საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა „საწარმოო პროდუქციის ხარისხის  
მართვა და ტექნიკური ექსპერტიზა“

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

1 აპრილი 2021 წელი

17 მაისი 2021 წელი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ<sup>1</sup>

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	212 693 049
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	საწარმოო პროდუქციის ხარისხის მართვა და ტექნიკური ექსპერტიზა
უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია <sup>2</sup>	მასალების საინჟინრო ტექნოლოგიის ბაკალავრი Bachelor of Materials Engineering Technology
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	მასალები (ხე, ქაღალდი, პლასტმასი, მინა) Materials (glass, paper, plastic and wood) 0722
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	-
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	240 კრედიტი
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	ახალი

<sup>1</sup> ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

<sup>2</sup> უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნია ნათბილაძე, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ქეთევან დავითაძე, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თეა ნარეკლიშვილი, შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო ტალიკაძე, სსიპ ივ.ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

## აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამებელი დასკვნა

▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ  
საბაკალავრო პროგრამა „საწარმოო პროდუქციის ხარისხის მართვა და ტექნიკური ექსპერტიზა“ ხორციელდება აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „საინჟინრო ტექნიკურ“ დეპარტამენტში. პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 26 პირი. საბაკალავრო პროგრამა შედგენილია აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოქმედი „საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის - EP-QA“ (აწსუ აკადემიური საბჭოს 2018 წლის 9 თებერვლის დადგენილება №49 (17/18)) შესაბამისად. პროგრამა ხორციელდება 4 წლის განმავლობაში, 8 სემესტრად. პროგრამის მოცულობა შეადგენს 240 ECTS კრედიტს. მათ შორის:

- ძირითადი სწავლის სფეროს შინაარსის შესაბამის სავალდებულო სასწავლო კურსებს - 160 კრედიტის მოცულობით (I-VIII სემესტრი);
- თავისუფალ კომპონენტებს - 50 კრედიტის მოცულობით (I-VIII სემესტრი);
- 2 კონცენტრაციას, თითოეულს -30 კრედიტის მოცულობით ( V-VIII სემესტრი).

### აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის „საწარმოო პროდუქციის ხარისხის მართვა და ტექნიკური ექსპერტიზა“ სააკრედიტაციო შეფასება განხორციელდა მიმდინარე წლის 1 აპრილს, ონლაინ რეჟიმში ზუმის პლატფორმის გამოყენებით. ვიზიტამდე ჯგუფის თავმჯდომარემ გადაანაწილა წევრებზე კონკრეტული დავალებები და ვიზიტის წინ, 30 მარტს, ჩატარდა მოსამზადებელი შეხვედრა. ჯგუფის წევრებმა გაცვალეს ინფორმაცია, შეაჯერეს კონკრეტული ბუნდოვანი საკითხები, კითხვები და ერთმანეთს გაუზიარეს მოსაზრებები საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შესახებ. დააზუსტეს საკითხები, რომელიც იწვევდა განსაკუთრებულ ინტერესს.

აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტი დაიწყო დღის წესრიგით გათვალისწინებულ დროს, ექსპერტთა სრული შემადგენლობით და ჩატარდა აღნიშნული დოკუმენტით გათვალისწინებული ყველა შეხვედრა.

ვიზიტამდე და ვიზიტის ფარგლებში ექსპერტებს ჰქონდათ სრული შესაძლებლობა გაცნობოდნენ ყველა დოკუმენტს, რომლითაც დასტურდებოდა თვითშეფასების ანგარიშსა და თანდართულ დოკუმენტებში წარმოდგენილი ინფორმაცია.

საკრედიტაციო ვიზიტი წარიმართა საქმიან გარემოში. უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ გამოავლინა მაქსიმალური მობილიზება და უზრუნველყო ყველა პირობა იმისთვის, რომ ექსპერტთა ჯგუფს მიეღო სრულყოფილი ინფორმაცია პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დასადგენად.

- საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

სტანდარტი 1: საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნებთან, ვინაიდან პირველი სტანდარტის 1.1 კომპონენტი შესაბამისობაშია და 1.2 კომპონენტი მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

სტანდარტი 2: სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - მეტწილ შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნებთან, ვინაიდან მხოლოდ 2.2; 2.3 და 2.4 კომპონენტები მეტწილ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

სტანდარტი 3: სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა მეტწილ შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნებთან, ვინაიდან 3.1 კომპონენტი მეტწილ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

სტანდარტი 4: სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტის მოთხოვნებთან;

სტანდარტი 5: სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტის მოთხოვნებთან.

#### ▪ რეკომენდაციები

1.2. პროგრამის სწავლის შედეგები: რეკომენდირებულია მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკის გაწერა;

2.2. „საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი: სასწავლო კურსი „გამოყენებითი მექანიკა“ იყოს „ურთიერთშეცვლადობა 1“ -ის წინა პირობა და შეეცვალოს სწავლების სემესტრი;

დაუზუსტდეთ წინაპირობები სასწავლო კურსებს: უცხო ენა 2, უცხო ენა 3, დარგობრივი უცხო ენა;

სასწავლო კურსები : „გარემოს დაცვა და შრომის უსაფრთხოება“ და „სამეწარმეო საქმიანობის საფუძვლები“ იყოს გადატანილი პროგრამის ძირითადი სწავლის სფეროს შინაარსის შესაბამისი სავალდებულო კურსებში;

სასწავლო კურსის „ნივთიერების, მასალებისა და პროდუქციის ტექნიკური ექსპერტიზის მეთოდები“ წინაპირობად განისაზღვროს ფიზიკა 3.

სასწავლო კურსის „სტანდარტიზაცია და მეტროლოგია“ შესასწავლი თემატიკიდან გამომდინარე საჭიროა წინაპირობად განისაზღვროს „ფიზიკა 2“;

2.3 სასწავლო კურსი დაუზუსტდეს თემატიკები სასწავლო კურსებში „სტანდარტიზაცია და მეტროლოგია“ და „საკონსტრუქციო მასალები“

2.4 პრაქტიკული,სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება: შემუშავდეს დოკუმენტი „პრაქტიკის დღიურის გაფორმების წესი“

3.1. სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება აუცილებელია, სტუდენტებს ჰქონდეთ შესაძლებლობა, ჩაერთონ ადგილობრივ და საერთაშორისო დარგობრივ პროექტებში, ღონისძიებებში, კონფერენციებსა და კვლევებში, ისარგებლონ გაცვლითი პროგრამით.

- რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

1.1. პროგრამის მიზნები: სასურველია პროგრამის მიზანი კორექტირდეს მისანიჭებელი კვალიფიკაციისა და 0722 დეტალური სფეროს შესაბამისად და ამოღებული იქნას „დამონტაჟების სამუშაოებში აქტიური მონაწილეობა“.

2.2. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი: დაწესებულებას მიეცა რჩევა, რომ გაძლიერდეს ყველა დაინტერესებული მხარეთა ჩართულობის ხარისხი

2.3. სასწავლო კურსი: სასურველია სასწავლო კურსისთვის „მასალების დამამუშავებელი იარაღები და მათი ექსპლუატაცია“ და „პროდუქციის ხარისხის მართვა“ უპირატესობა მიენიჭოს შედარებით ახალი - 2010 წლის შემდგომი ლიტერატურული გამოცემების გამოყენებას.

2.4. პრაქტიკული,სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება: პროგრამის სტაბილურობის უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტსა და საწარმოებს შორის ურთიერთობის ფორმა „მემორანდუმი“ შეიცვალოს შედარებით მყარი იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტით - „ხელშეკრულებით“, რომელიც გაითვალისწინებს პროგრამის დასახელებას, სტუდენტების რაოდენობას, ასევე პრაქტიკის მიზანსა და ხანგრძლივობას.

სასურველია საკვალიფიკაციო ნაშრომი ცალკე კრედიტად შევიდეს პროგრამაში და თან დაერთოს უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული საკვალიფიკაციო ნაშრომის გაფორმების წესი.

2.5. სწავლება-სწავლის მეთოდები პროგრამის სწავლა-სწავლების მეთოდები მოვიდეს თანხვედრაში სილაბუსებში გაწერილ მეთოდებთან.

2.6. სტუდენტების შეფასება სასურველია სასწავლო კურსებში „მასალების დამამუშავების მეთოდები“, „ნივთიერების, მასალებისა და პროდუქციის ტექნიკური ექსპერტიზის მეთოდები“ ჩასწორდეს შეფასების მეთოდი, კრიტერიუმი და მიეთითოს ამ მეთოდის განხორციელების დრო;

სასურველია ჩასწორდეს რეფერატის შეფასების კრიტერიუმები პრაქტიკის სილაბუსებში.

5.1. ხარისხის შიდა შეფასება: შიდა ხარისხის სამსახურის მიერ სამუშაოების ჩატარებისას სასურველია განხორციელდეს დეტალებზე ორიენტირებული მიდგომა, რაც მომავალში უზრუნველყოფს პროგრამის მეტად დახვეწასა და გაუმჯობესებას.

- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)

3.1. სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება: კურსდამთავრებულთა ქსელის არსებობა; აპლიკაცია ATSUNews

- ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

4.3 მატერიალური რესურსი უნივერსიტეტს გააჩნია ახლად აშენებული თანამედროვე სტანდარტების ბიბლიოთეკის კომპლექსი.

## პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

### 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

#### 1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „საწარმოო პროდუქციის ხარისხის მართვა და ტექნიკური ექსპერტიზა“ მიზანია: „მომზადოს შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული, საშუალო რგოლის მაღალკვალიფიციური სპეციალისტი მასალების საინჟინრო ტექნოლოგიის ბაკალავრის კვალიფიკაციით, რომელიც საბუნებისმეტყველო, ზოგადტექნიკურ და სპეციალურ საგნებში მიღებული ცოდნის გამოყენებით შეძლებს, სხვადასხვა მასალებისგან (ხე, ქვა, თიხა, ხელოვნური მასალები, პლასტმასი, ქაღალდი, მინა, კერამიკა) დამზადებული პროდუქტების მწარმოებელ საწარმოში მანქანა-დანადგარების ოპტიმალურად შერჩევის, დამონტაჟების, მონიტორინგის და მაღალ ხარისხიანი, ერთგვაროვანი პროდუქციის მიღების უზრუნველყოფის სამუშაოებში აქტიურ მონაწილეობას“. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სასურველია პროგრამის მიზანი კორექტირდეს მისანიჭებელი კვალიფიკაციისა და 0722 დეტალური სფეროს შესაბამისად და ამოღებული იქნას „დამონტაჟების სამუშაოებში აქტიური მონაწილეობა“.

პროგრამის მიზანი შეესაბამება უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიას, ჩამოყალიბებულია ნათლად, ორიენტირებულია დასაქმების ბაზარზე და მიღწევადია. უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმების შესაბამისად პროგრამა ხელს უწყობს რეგიონში მნიშვნელოვანი ადგილის დაკავებას აღნიშნულ დარგში.

#### მტკიცებულებები/ინდიკატორები

- უნივერსიტეტის მისია;
- უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა

[http://atsu.edu.ge/index.php?option=com\\_content&view=article&id=329&Itemid=288&lang=en](http://atsu.edu.ge/index.php?option=com_content&view=article&id=329&Itemid=288&lang=en);

- საბაკალავრო პროგრამა „საწარმოო პროდუქციის ხარისხის მართვა და ტექნიკური ექსპერტიზა“

#### რეკომენდაციები:

<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>სასურველია პროგრამის მიზანი კორექტირდეს მისანიჭებელი კვალიფიკაციისა და 0722 დეტალური სფეროს შესაბამისად და ამოღებული იქნას „დამონტაჟების სამუშაოებში აქტიური მონაწილეობა“.</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p>
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p>
<p>შეფასება</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<p><b>1.2 პროგრამის სწავლის შედეგები</b></p>
<ul style="list-style-type: none"> <li>➤ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;</li> <li>➤ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;</li> <li>➤ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.</li> </ul>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „საწარმოო პროდუქციის ხარისხის მართვა და ტექნიკური ექსპერტიზა“ სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს. იგი ჩაშლილია ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს კვალიფიკაციათა აღმწერის მიერ დადგენილი სამი კომპეტენციის (ცოდნა, უნარები, პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა) მიხედვით. კერძოდ, პროგრამის სწავლის შედეგებში აღწერილია ის ცოდნა, უნარები, პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა, რომელიც უნდა გააჩნდეს ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მფლობელ პირს. მაგ.: აღწერს სხვადასხვა მასალების (ხე, ქვა, თიხა, ხელოვნური მასალები, პლასტმასი, ქაღალდი, მინა, კერამიკა) დამამუშავებელ იარაღებსა და დანადგარებს; მასალების საინჟინრო ტექნოლოგიურ საწარმოში წარმოებული პროდუქციის ტექნიკური პარამეტრების მოთხოვნილი სიზუსტის უზრუნველსაყოფად აგებს ზომათა ჯაჭვებს, ანგარიშობს შემადგენელი რგოლების სიზუსტეს და მონაწილეობს დამზადების ტექნოლოგიის შედგენაში; ურთიერთობის ნებისმიერ სტადიაზე ითვალისწინებს პროფესიული ეთიკის, შრომის და გარემოს დაცვის საკითხებს და ა.შ. აღნიშნულიდან დასტურდება, რომ პროგრამაში გათვალისწინებულია დარგის სპეციფიკა და საქართველოს ბაზარზე აღნიშნული სპეციალისტების მოთხოვნილება.</p> <p>პროგრამაში წარმოდგენილია სწავლის შედეგების შეფასების სქემა, სადაც მოცემულია შეფასების რუბრიკები და სამიზნე ნიშნულები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება ხდება, როგორც პროგრამის ხელმძღვანელის, ისე ფაკულტეტის ხარისხის</p>



უზრუნველყოფის სამსახურების მიერ. შემუშავებულია კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან თანამშრომლობის პოლიტიკა. ორივე პოლიტიკის ძირითადი მიზანია პროგრამის სწავლის შედეგების შესწავლა და შეფასება, პროგრამის ორიენტირება შრომის ბაზრის მოთხოვნებზე. აქედან გამომდინარე, პროგრამა პერმანენტულ რეჟიმში ითვალისწინებს ყოველ ახალ მოთხოვნას და შესაბამისი ცვლილებების განხორციელების გზით სათანადოდ ადაპტირდება შრომის ბაზრის თანამედროვე მოთხოვნების კვალდაკვალ. პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალი იცნობს სწავლის შედეგების შეფასების მეთოდებს და იყენებს მათ პრაქტიკაში. ამდენად, პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზანს, რეალისტური და მიღწევადია; პროგრამის სტრუქტურა და სწავლის შედეგები შეესაბამება კვალიფიკაციის შესაბამის დონეს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას. თუმცა წარმოდგენილ დანართებში საჭირო დოკუმენტი - მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა - დაწესებულებამ ვერ წარმოგვიდგინა. როგორც დაწესებულების ადმინისტრაციულ და პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან ინტერვიუდან ირკვევა, პროგრამების სწავლის შედეგების შემუშავების პროცესში გათვალისწინებული იყო აკადემიური და მოწვეული პერსონალის მოსაზრებები, სტუდენტების, კურსდამთავრებულების და დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგები, თუმცა, სასურველია მათი უფრო აქტიური ჩართულობა პროგრამის გასაუმჯობესებლად. პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალი იცნობს სწავლის შედეგების შეფასების მეთოდებს. სტუდენტები იღებენ უკუკავშირს, თუ რამდენად მიაღწიეს პროგრამის სწავლის შედეგებს. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

- მტკიცებულებები/ინდიკატორები
- ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა „საწარმოო პროდუქციის ხარისხის მართვა და ტექნიკური ექსპერტიზა“
  - სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი;
  - შეფასების რუბრიკა და სამიზნე ნიშნულები;
  - თვითშეფასების ჯგუფთან ინტერვიუს შედეგები;
  - აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუს შედეგები;
  - კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს შედეგები;

რეკომენდაციები:

რეკომენდირებულია მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკის გაწერა

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- შეფასება
- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
  - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან



<input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
<input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა**

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			

**2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა**

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

<p><b>2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები</b></p> <p>უხსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.</p> <p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>„საწარმოო პროდუქციის ხარისხის მართვა და ტექნიკური ექსპერტიზის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შესწავლის საფუძველზე დგინდება, რომ აღნიშნული პროგრამის სტუდენტი შეიძლება გახდეს:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• სრული ზოგადი განათლების მქონე პირი, რომელმაც წარმატებით ჩააბარა ერთიანი ეროვნული გამოცდები;</li> <li>• ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით და დადგენილ ვადებში დასაშვებია:</li> </ul> <p>ა) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის და მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება;</p> <p>ბ) საქართველოს მოქალაქეებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება და სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელი ისწავლეს უცხო ქვეყანაში;</p> <p>გ) პირებისათვის, რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.</p>
---

<ul style="list-style-type: none"> <li>ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ბაკალავრიატის სტუდენტი გარე ან შიდა მობილობის გზით.</li> </ul> <p>აღნიშნული სრულ შესაბამისობაშია სახელმწიფოს მიერ დადგენილ მოთხოვნებთან, ბაკალავრიატის დონის შესაბამისია, გამჭვირვალე და სამართლიანია.</p> <p>დაინტერესებულ პირებს ინფორმაციის გაცნობა შეუძლიათ როგორც NAEC-ის მიერ ყოველწლიურად განახლებად საინფორმაციო ცნობარში, ასევე უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსებული და ფაკულტეტის მიერ სოციალური ქსელისა და სხვა საინფორმაციო საშუალებების გამოყენებით გავრცელებული ინფორმაციით.</p> <p>დაწესებულების ადმინისტრაციასთან ინტერვიუს დროს დადგინდა რომ, საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის მსურველთა რაოდენობას უნივერსიტეტი აცხადებს 40 პირის მიღებას, მიუხედავად, იმისა, რომ პროგრამა არ ფინანსდება, მის მდგრადობას საფრთხე არ ექმნება, რადგან უნივერსიტეტს იგი მიაჩნია პრიორიტეტულ მიმართულებად და ხორციელდება მისი საერთო ბიუჯეტიდან დაფინანსება.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ საბაკალავრო პროგრამა „საწარმოო პროდუქციის ხარისხის მართვა და ტექნიკური ექსპერტიზა“</li> <li>○ ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილება მისაღები კონტიგენტისა და მობილობით მისაღები სტუდენტების ადგილების განსაზღვრის შესახებ;</li> <li>○ დადგენილება №94(17/18) სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, აღდგენის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭებისა და მიღებული განათლების აღიარების წესის, საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის/გაუქმების შემთხვევაში, შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმების წესის დამტკიცების შესახებ აწსუ № 12(17/18) დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;</li> <li>○ დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიუს შედეგები.</li> </ul>
<p>რეკომენდაციები:</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p>
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p>
<p>შეფასება</p> <ul style="list-style-type: none"> <li><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</li> </ul>

**2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი**

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა

უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი „საწარმო პროდუქციის ხარისხის მართვა და ტექნიკური ექსპერტიზა“ საბაკალვრო პროგრამა შედგენილია უნივერსიტეტში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი და მოცულობა შეესაბამება სწავლების საფეხურს და ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს.

პროგრამის შინაარსი მეტწილად შეესაბამება საბაკალვრო საფეხურისთვის ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოთი განსაზღვრულ მოთხოვნებს და უზრუნველყოფს შესაბამისი სწავლის შედეგების მიღწევას. საზოგადოდ, პროგრამა აგებულია იმგვარად, რომ ვითარდება მარტივიდან კომპლექსურისკენ. გაცნობითი ხასიათისა და საბაზისო კურსებს მოსდევს დარგის შესაბამისი სასწავლო კურსები. აღნიშნული ლოგიკური ჯაჭვი გათვალისწინებულია სასწავლო კურსების წინაპირობებში რამოდენიმე გამონაკლისის გარდა. კერძოდ, რეკომენდირებულია სასწავლო კურსის „გამოყენებითი მექანიკა“ შემდგომ ისწავლებოდეს დისციპლინა: „ურთიერთმეცვლადობა 1“ შესაბამისად შეეცვალოს წინაპირობა. აგრეთვე, ლოგიკურად უნდა განლაგდნენ სასწავლო კურსები:

„მასალათმცოდნეობა“ და „საკონსტრუქციო მასალები“, კერძოდ, „მასალათმცოდნეობა“ ისწავლებოდეს I სემესტრში, ხოლო „საკონსტრუქციო მასალები“ II სემესტრში, შესაბამისად, შეეცვალოს წინაპირობები. სასწავლო კურსის „სტანდარტიზაცია და მეტროლოგია“ შესასწავლი თემატიკიდან გამომდინარე საჭიროა წინაპირობად განისაზღვროს „ფიზიკა 2“; აუცილებელია სასწავლო კურსის „ნივთიერების, მასალებისა და პროდუქციის ტექნიკური ექსპერტიზის მეთოდები“ წინაპირობად განისაზღვროს - ფიზიკა 3.

უნდა აღინიშნოს, რომ სასწავლო პროგრამაში მოცემულ თავისუფალ კომპონენტებში შემავალი დისციპლინები: უცხო ენა 2, უცხო ენა 3, დარგობრივი უცხო ენა, დაუზუსტდეთ წინაპირობები; აგრეთვე, სასწავლო კურსი : „გარემოს დაცვა და შრომის უსაფრთხოება“ საჭიროა იყოს პროგრამის ძირითადი სწავლის სფეროს შინაარსის შესაბამისი სავალდებულო კურსების სტატუსში, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში სტუდენტი პროგრამის სწავლის მე-9 შედეგზე ვერ გავა. სასწავლო კურსის „სამეწარმეო საქმიანობის საფუძვლები“ საჭიროა გადავიდეს ძირითადი სწავლის სფეროს შინაარსის შესაბამისი სავალდებულო კურსების სტატუსში, რადგანაც პროგრამის მესამე შედეგში წერია „აღწერს და ანალიზებს საკანონმდებლო და ორგანიზაციულ მოთხოვნებს“, რასაც დისციპლინის შედეგშიც მოიაზრებს და თან პროგრამა ორიენტირებულია საწარმო პროდუქციის ხარისხის მართვაზე და ტექნიკურ ექსპერტიზაზე,

პროგრამა აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად. პროგრამა ასახავს დარგის თანამედროვე მიღწევებს. პროგრამის შინაარსში გათვალისწინებულია შრომის ბაზრის მოთხოვნები, ადგილობრივი და საერთაშორისო გამოცდილება, ვინაიდან სილაბუსებში ასახულია ის საკითხები, რომლითაც პროგრამის ფარგლებში მიღებული ცოდნა კურსდამთავრებულს შეუძლია გამოიყენოს როგორც ქვეყანაში, ისე ქვეყნის გარეთ შესაბამის სფეროში დასაქმების შემთხვევაში. როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, მის შემუშავებაში ჩართული იყო ყველა დაინტერესებული მხარე, თუმცა მათი გამოკითხვით

და მიღებული პასუხების მიხედვით დაწესებულებას მიეცა რჩევა, რომ გაძლიერდეს მათი ჩართულობის ხარისხი. პროგრამა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის თავისუფალი კომპონენტების ფარგლებში არჩევითობას. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს პროგრამის შესახებ ინფორმაციის საჯაროობასა და ხელმისაწვდომობას. ინფორმაცია განთავსებულია ვებგვერდზე, დაინტერესებული პირებისათვის ხდება კომუნიკაციის სხვადასხვა საშუალებებით ინფორმაციის გავრცელება, ღია კარის დღეების ორგანიზება, სკოლებში პროგრამების შესახებ ინფორმაციების გავრცელება და სხვ.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საბაკალავრო პროგრამა „საწარმოო პროდუქციის ხარისხის მართვა და ტექნიკური ექსპერტიზა“
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია, დადგენილება 49(17/18), 9 თებერვალი, 2018 წ;
- აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუს შედეგები;
- სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს შედეგები.

**რეკომენდაციები:**

- რეკომენდირებულია, სასწავლო კურსი „გამოყენებითი მექანიკა“ იყოს „ურთიერთშეცვლადობა 1“ -ის წინა პირობა და შეეცვალოს სწავლების სემესტრი;
- რეკომენდირებულია, დაუზუსტდეთ წინაპირობები სასწავლო კურსებს: უცხო ენა 2, უცხო ენა 3, დარგობრივი უცხო ენა,
- რეკომენდირებულია სასწავლო კურსები : „გარემოს დაცვა და შრომის უსაფრთხოება“ და „სამეწარმეო საქმიანობის საფუძვლები“ იყოს გადატანილი პროგრამის ძირითადი სწავლის სფეროს შინაარსის შესაბამისი სავალდებულო კურსებში;
- რეკომენდირებულია სასწავლო კურსის „ნივთიერების, მასალებისა და პროდუქციის ტექნიკური ექსპერტიზის მეთოდები“ წინაპირობად განისაზღვროს ფიზიკა 3.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- დაწესებულებას მიეცა რჩევა, რომ გაძლიერდეს ყველა დაინტერესებული მხარეთა ჩართულობის ხარისხი

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

**შეფასება**

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

### 2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

„საწარმოო პროდუქციის ხარისხის მართვა და ტექნიკური ექსპერტიზა“ საბაკალავრო პროგრამის ძირითადი სპეციალობის სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს. თითოეული სასწავლო კურსის შინაარსი შეესაბამება ამ სასწავლო კურსის სწავლის შედეგებს და უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურს. სასწავლო კურსში „სტანდარტიზაცია და მეტროლოგია“ მეორდება „ფიზიკა 1“-ში უკვე გავლილი თემები, კერძოდ „ფიზიკური სიდიდის გაზომვის შედეგების დამუშავება და გაფორმების თანმიმდევრობა“, აგრეთვე, სასწავლო კურსებში „მასალათმცოდნეობა“ და „საკონსტრუქციო მასალები“ შეინიშნება თემატიკების განმეორება, კერძოდ დისციპლინის „მასალათმცოდნეობა“ სილაბუსის სალექციო მე-5 კვირის საკითხები შინაარსობრივად ემთხვევა „საკონსტრუქციო მასალები“-ის მე-7 კვირის საკითხებს, აგრეთვე „მასალათმცოდნეობა“ -ის მე-10 კვირის სალექციო საკითხები მეორდება „საკონსტრუქციო მასალების“ სალექციო მე-12 კვირაში, ხოლო ორივე სასწავლო კურსის მე-14 კვირის სალექციო საკითხები აბსოლუტურად იდენტურები არიან, რის გამოც აუცილებელია დაზუსტდეს სასწავლო კურსის „საკონსტრუქციო მასალების“ თემატიკები.

სასწავლო კურსებში გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას. საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათები პროპორციულადაა გადანაწილებული. სალექციო და პრაქტიკულ/ლაბორატორიულ მეცადინეობებს შორის თანაფარდობა პასუხობს სასწავლო კურსის სპეციფიკას. მათემატიკურ, საბუნებისმეტყველო და ზოგად საინჟინრო საგნების შემთხვევაში პრაქტიკული და ლაბორატორიული მეცადინეობებისათვის გამოყოფილია ორჯერ მეტი საათები სალექციო საათებთან შედარებით. სპეცილობის საგნების შემთხვევაში კი საშუალოდ დაცულია თანასწორი თანაფარდობა ან პრაქტიკული მეცადინეობების საათები ორჯერ აღემატება სალექციოს.

სასწავლო კურსის თითოეული სწავლის შედეგის მიღწევა ფასდება. შეფასება წარმოებს მიმდინარე შეფასების, შუალედური და დასკვნითი გამოცდის კომპონენტებით, რომელთა შორის თანაფარდობა არის 30%, 30%, 40%. სასწავლო კურსის ყველა სილაბუსში ასახულია სწავლის შედეგები და შეფასების რუბრიკები. პრიორიტეტულად გამოიყენება ტესტური, აქტივობის, ზეპირი გამოკითხვის, ქვიზის, დავალების შესრულების რუბრიკები.

სწავლება-სწავლის მეთოდები შერჩეულია სასწავლო კურსის სპეციფიკის შესაბამისად. საბუნებისმეტყველო და ზოგად-საინჟინრო სასწავლო კურსებზე აქცენტი გაკეთებულია

ახსნა-განმარტებით, ლაბორატორიულ, პრაქტიკულ, საშინაო დავალების მომზადების მეთოდებზე. სპეციალობის ხასიათის შესაბამის სასწავლო კურსებზე კი გამოიყენება დემონსტრირების, პრაქტიკული მუშაობის, საშინაო დავალებების მომზადების, პროექტების შემუშავების და სხვა მეთოდები. სილაბუსებში გამოყენებული სავალდებულო ლიტერატურა შეესაბამება კურსის სწავლის შედეგებს და დარგის აქტუალურ მიღწევებს. მითითებული ლიტერატურა ძირითადად ახალი გამოცემებისაა, თუმცა სასწავლო კურსებისათვის „მასალების დამამუშავებელი იარაღები და მათი ექსპლუატაცია“ და „პროდუქციის ხარისხის მართვა“- სასურველია უპირატესობა მიენიჭოს შედარებით ახალ - 2010 წლის შემდგომ გამოცემებს.

სასწავლო კურსების სწავლის შედეგები პასუხობენ პროგრამის სწავლის შედეგებს და შეესაბამება ბაკალავრიატის საფეხურს. სასწავლო კურსების შინაარსი შეესაბამება ამ სასწავლო კურსების სწავლის შედეგებს.

- მტკიცებულებები/ინდიკატორები
- საგანმანათლებლო პროგრამა „საწარმოო პროდუქციის ხარისხის მართვა და ტექნიკური ექსპერტიზა“;
  - სასწავლო კურსების სილაბუსები;
  - ბიბლიოთეკის რესურსები;
  - აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუს შედეგები;
  - სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს შედეგები.

- რეკომენდაციები:
- რეკომენდირებულია, დაზუსტდეს თემატიკები სასწავლო კურსებში „სტანდარტიზაცია და მეტროლოგია“ და „საკონსტრუქციო მასალები“

- რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
- სასურველია სასწავლო კურსისთვის „მასალების დამამუშავებელი იარაღები და მათი ექსპლუატაცია“ და „პროდუქციის ხარისხის მართვა“ უპირატესობა მიენიჭოს შედარებით ახალი - 2010 წლის შემდგომი ლიტერატურული გამოცემების გამოყენებას.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- შეფასება
- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
  - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
  - ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
  - არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება**

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საბაკალავრო პროგრამა გარდა დარგისთვის საჭირო თეორიული ცოდნისა, ორიენტირებულია პრაქტიკული/კვლევითი უნარების განვითარებაზე.

აღნიშნული პრაქტიკული უნარების განვითარება გათვალისწინებულია ცალკეულ კურსებში კონკრეტული პრაქტიკული ხასიათის პროექტების/დავალებების შესრულებით. დაწესებულებამ წარმოადგინა უახლესი ტექნიკით და ინვენტარით აღჭურვილი ლაბორატორიები, სადაც სტუდენტი წარმატებით დაეუფლება შესაბამის სასწავლო დისციპლინათ გათვალისწინებულ პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს.

ამავე დროს პროგრამა ითვალისწინებს სასწავლო და საწარმოო პრაქტიკას, რომელთა განხორციელებას გეგმავენ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმებით გათვალისწინებულ საწარმოებში. უნდა აღინიშნოს, რომ დაწესებულების მხრიდან არ იყო წარმოდგენილი პრაქტიკის შედეგების შესრულების ამსახველი დოკუმენტაცია .

კვლევითი უნარების განსავითარებლად პროგრამა ითვალისწინებს საკვალიფიკაციო ნაშრომს, რომელიც მოიაზრება პროგრამის ორივე არჩევით კონცენტრაციაში სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ ბოლო სასწავლო კურსებში: არჩევითი კონცენტრაცია - 1. არალითონური მასალებისგან დამზადებული პროდუქციის წარმოება „არალითონური მასალების დამამუშავებელი უბნის დაგეგმარება და ხარისხის მართვა“ და არჩევითი კონცენტრაცია - 2. მერქნული მასალებისგან დამზადებული პროდუქციის წარმოება „მერქნული მასალების დამამუშავებელი უბნის დაგეგმარება და ხარისხის მართვა“.

როგორც ავღნიშნეთ, წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს საკვალიფიკაციო ნაშრომს, რომელიც ერთ-ერთი სასწავლო დისციპლინის სილაბუსში „სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა და კრიტერიუმები“ გრაფაშია მითითებული.

საკვალიფიკაციო ნაშრომის ხელმძღვანელებს, რომლებიც პროგრამის განხორციელებაში ჩართულ აკადემიურ პერსონალს წარმოადენენ, აქვთ მნიშვნელოვანი სამეცნიერო მიღწევები და კვლევის ხელმძღვანელობის მრავალწლიანი გამოცდილება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- სილაბუსები;
- პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის პირადი საქმეები;
- ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები;
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

- შემუშავდეს დოკუმენტი „პრაქტიკის დღიურის გაფორმების წესი“



რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- პროგრამის სტაბილურობის უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტსა და საწარმოებს შორის ურთიერთობის ფორმა „მემორანდუმი“ შეიცვალოს შედარებით მყარი იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტით - „ხელშეკრულებით“, რომელიც გაითვალისწინებს პროგრამის დასახელებას, სტუდენტების რაოდენობას, ასევე პრაქტიკის მიზანსა და ხანგრძლივობას.
- სასურველია საკვალიფიკაციო ნაშრომი ცალკე კრედიტად შევიდეს პროგრამაში და თან დაერთოს უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული საკვალიფიკაციო ნაშრომის გაფორმების წესი.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის სწავლის თითოეული კომპონენტისთვის გათვალისწინებულია კურსის შინაარსის და მიზნების შესაბამისი სწავლება-სწავლის მეთოდები, რაც შესაძლებელს ხდის კურსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამაში გამოიყენება სწავლების სხვადასხვა მეთოდები და აქტივობები მათ შორის: დისკუსია/დებატები, ჯგუფური მუშაობა, დემონსტრირების მეთოდი, ინდუქციური მეთოდი, დედუქციური მეთოდი, სინთეზის მეთოდი, ანალიზის მეთოდი, ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი, წერითი მუშაობის მეთოდი, ლაბორატორიული მეთოდი, პრაქტიკული მეთოდი, ახსნა-განმარტებითი მეთოდი, პროექტის შემუშავება და პრეზენტაცია. თუმცაღა, მეთოდი: „თანამშრომლობითი სწავლება“ - ვერცერთი სასწავლო კურსის სწავლა-სწავლების მეთოდში ვერ მოვიპოვეთ. ამავე დროს რიგ სილაბუსებში, გამოყენებული სწავლა-სწავლების მეთოდები საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული არაა.

სტუდენტების განსხვავებული მოთხოვნების, აგრეთვე საგანმანათლებლო პროცესში მათი შეუფერხებელი ჩართულობის უზრუნველსაყოფად, უნივერსიტეტში გამოიყენება ინდივიდუალური საკონსულტაციო შეხვედრები ლექტორებთან, რის შესახებაც სტუდენტები ინფორმირებულნი არიან სილაბუსით

<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ საბაკალავრო პროგრამა „საწარმოო პროდუქციის ხარისხის მართვა და ტექნიკური ექსპერტიზა“;</li> <li>○ სასწავლო კურსის სილაბუსები;</li> <li>○ პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს შედეგები.</li> </ul>
<p>რეკომენდაციები:</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ პროგრამის სწავლა-სწავლების მეთოდები მოვიდეს თანხვედრაში სილაბუსებში გაწერილ მეთოდებთან.</li> </ul>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p>
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p>
<p>შეფასება</p> <ul style="list-style-type: none"> <li><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</li> </ul>

<p><b>2.6. სტუდენტების შეფასება</b></p>
<p>სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>პროგრამაში შემავალ ყველა კომპონენტში განსაზღვრულია შეფასების სისტემა. სტუდენტს სემესტრის დაწყებისთანავე აქვს შესაძლებლობა გაეცნოს სასწავლო კურსის სილაბუსს და იცოდეს შეფასების ძირითადი კომპონენტები და კრიტერიუმები. სასწავლო პროცესის ელექტრონული მართვის სისტემის საშუალებით პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალი ფლობს სათანადო ცოდნას შეფასების მეთოდებთან დაკავშირებით. ეს ხელს უწყობს სტუდენტის ცოდნისა და უნარების გაზომვას და ამ გზით სასწავლო კურსით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. სასწავლო კურსი მინიმუმ სამი კომპონენტით ფასდება (შუალედური შეფასებები და ერთი დასკვნითი შეფასება). შუალედური და დასკვნითი შეფასებებისთვის განსაზღვრულია მინიმალური კომპეტენციების ზღვარი.</p> <p>საკვალიფიკაციო ნაშრომის, რომელიც პროგრამის არჩევითი კონცენტრაციის ერთ-ერთ სასწავლო კურსშია გათვალისწინებული, შეფასება ხდება ერთჯერადად, სემესტრის დასასრულს. სტუდენტების შეფასება ხორციელდება წინასწარ დადგენილი პროცედურების მიხედვით. შეფასების სისტემა გამჭვირვალა და მოიცავს საკვალიფიკაციო ნაშრომის ხელმძღვანელის შუალედური შეფასებას, სტუდენტის აქტივობას და</p>

საკვალიფიკაციო ნაშრომის პრეზენტაციას. ხელმძღვანელის შუალედური შეფასება - 35 ქულა, ხდება სემესტრის პირველი ნახევრის განმავლობაში სტუდენტის მიერ შესრულებული სამუშაოს მიხედვით. აქტივობის (35 ქულა) შეფასება ხდება სემესტრის განმავლობაში სტუდენტის მიერ შესრულებული სამუშაოს მიხედვით. საკვალიფიკაციო ნაშრომის პრეზენტაციის შესაფასებლად (30 ქულა) თითოეული სტუდენტი წარმოადგენს წინასწარ პედაგოგის მიერ შერჩეულ ინდივიდუალური დავალების მიხედვით შესრულებულ სამუშაოს. საკვალიფიკაციო ნაშრომის პრეზენტაციისას სტუდენტი აკეთებს მოხსენებას დეპარტამენტში, რომელიც მოიცავს საკურსოს (რეფერატს) - 10 ქულა და პრეზენტაციას - 20 ქულა მიუხედავად აღნიშნულისა, ექსპერტთა ჯგუფმა სასწავლო კურსების სილაბუსების ანალიზისას სტუდენტთა შეფასებასთან დაკავშირებით გამოავლინა შემდეგი გარემოებები:

„მასალების დამუშავების მეთოდები“, „ნივთიერების, მასალებისა და პროდუქციის ტექნიკური ექსპერტიზის მეთოდები“ - სტუდენტის აქტივობა გულისხმობს პრაქტიკული სამუშაოების შესრულებას: სულ 10 გამოკითხვა. თითოეული 3 ქულა, მაგრამ კვირობრივ ჩაშლაში არ ჩანს, როდის არის გამოკითხვა დაგეგმილი;

„სასწავლო პრაქტიკა“, „საწარმოო პრაქტიკა 1“, „საწარმოო პრაქტიკა 2“ - პრაქტიკის ანგარიშის შეფასების რუბრიკაში ჩაშლილია რეფერატის და პრეზენტაციის შეფასებები. თუმცა, რეფერატის რუბრიკა არ არის ინფორმატიული პრაქტიკის შეფასებისათვის.

„გარემოს დაცვა და შრომის უსაფრთხოება“ - ცოდნის შეფასების ერთ-ერთი კრიტერიუმია ლაბორატორიული პრაქტიკუმი, რომელიც ითვალისწინებს პრაქტიკული დავალების შესრულებას, ქეისის განხილვასა და დისკუსია/დებატებს. სილაბუსიდან არ ჩანს თითოეულის შეფასების კრიტერიუმი, რამდენი ლაბორატორიული ეძლევა სტუდენტს, რამდენი ქულით ფასდება თითოეული და როდის ხდება შეფასება, თითოეული დავალების შესრულებისას თუ სემესტრის ბოლოს. ასევე დასაზუსტებელია ქულობრივი ჩაშლა.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2017 წლის 15 სექტემბრის დადგენილება №5(17/18) აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტთა შეფასების სისტემის დამტკიცების შესახებ;
- სწავლის შედეგების შეფასების სქემა;
- საბაკალავრო პროგრამა „საწარმოო პროდუქციის ხარისხის მართვა და ტექნიკური ექსპერტიზა“;
- სასწავლო კურსის სილაბუსები;
- [www.atsu.edu.ge](http://www.atsu.edu.ge)

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- სასურველია სასწავლო კურსებში „მასალების დამუშავების მეთოდები“, „ნივთიერების, მასალებისა და პროდუქციის ტექნიკური ექსპერტიზის მეთოდები“ ჩასწორდეს შეფასების მეთოდი, კრიტერიუმი და მოთითოს ამ მეთოდის განხორციელების დრო;
- სასურველია ჩასწორდეს რეფერატის შეფასების კრიტერიუმები პრაქტიკის

სილაბუსებში.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
<p>შეფასება</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

### პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		√		

### 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

#### 3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტების და არა მხოლოდ მათი (იგულისხმება კურსდამთავრებულებიც), მოთხოვნილებაზე მორგებული სერვისების მიწოდებას უზრუნველყოფს სტუდენტთა მხარდაჭერისა და განვითარების სამსახური (იხ. ბმული: <https://atsu.edu.ge/index.php/students-service-info>). ეს უკანასკნელი სტუდენტს აწვდის მრავალმხრივ ინფორმაციას ყველა საჭირო თემაზე. აღნიშნული სამსახურის

საქმიანობის მიმართულებები: ა) სტუდენტთა განცხადებების ელექტრონული მოძრაობის ორგანიზება (კერძოდ, სტუდენტის წინაშე წამოჭრილი აკადემიური, ფინანსური თუ სხვა სახის პრობლემების გადაჭრის მიზნით); ბ) კარიერული განვითარების ხელშეწყობა (კერძოდ, კარიერული განვითარების და დასაქმების ხელშემწყობი ღონისძიებების გატარება); გ) ომბუდსმენი (კერძოდ, სტუდენტებისა და უნივერსიტეტის პერსონალის უფლებებისა და ლეგიტიმური ინტერესების დაცვის უზრუნველყოფა); დ) ფსიქოთერაპევტი (კერძოდ, სტუდენტის წინაშე წამოჭრილი ფსიქო-ემოციური პრობლემების გადაჭრის პროცესის ხელშეწყობა და ეფექტური გზების პოვნა); ე) ტუტორი (კერძოდ, ტუტორი-სტუდენტი ბაკალავრიატის საფეხურის სტუდენტებს უწევს კონსულტაციებს და მიზნად ისახავს სტუდენტების ჩართვას უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის სასწავლო და სამეცნიერო საქმიანობაში ვ) აწსუ-ს კურსდამთავრებულთა ქსელი (კერძოდ, ეფექტური კავშირის უზრუნველყოფა კურსდამთავრებულებთან საუნივერსიტეტო პროცესების გაუმჯობესები მიზნით, მათი რესურსის, შესაძლებლობებისა და გონივრული თანამშრომლობის გზით, იხ, ბმული: <https://alumni.atyu.edu.ge/category/news/> ). მაგალითად, ეს უკანასკნელი უწყვეტ რეჟიმში უზრუნველყოფს კავშირს უნივერსიტეტსა და მის კურსდამთავრებულს შორის, გვერდზე პერიოდულად ქვეყნდება სიახლეები და სხვა საჭირო ინფორმაცია განკუთვნილი კურსდამთავრებულთათვის. აქვე, შეგიძლიათ გაეცნოთ აწსუ-ს წარმატებულ კურსდამთავრებულებსაც.

ამდენად, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტები სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და დასაქმებაზე ინფორმაციას სხვადასხვა წყაროს გამოყენებით იღებენ, ეს იქნება უნივერსიტეტის ვებ-გვერდი, კორპორაციული ფოსტა თუ „ელექტრონული დეკანატი“. აღსანიშნავია, რომ არსებობს სპეციალური აპლიკაცია ATSunews, რომლის მობილურზე ჩამოტვირთვის შემთხვევაში სტუდენტი იღებს ნებისმიერ სიახლეს უნივერსიტეტის სივრციდან, როგორც კონფერენციები, საჯარო ლექციები, სხვადასხვა ქვეყნის სტიპენდიები, გაცვლითი პროგრამები და სხვ.

სტუდენტთან და კურსდამთავრებულთან გასაუბრებით დასტურდება, რომ მათ უსარგებლიათ მინიმუმ სტუდენტთა კარიერული განვითარების სერვისით, მაგალითად, დახმარება გაუწიეს სამოტივაციო წერილისა და CV-ის შედგენის პროცესში და სხვ. ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა „ძველი“ პროგრამის „ხარისხის მართვა და ტექნიკურ ეკონომიკური ექსპერტიზა“-ის სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს.

სტუდენტების მობილობას, გაცვლით პროექტებში მონაწილეობას, ურთიერთობების დამყარებას სხვა ქვეყნების სასწავლო და სამეცნიერო დაწესებულებებთან და სხვ. კურირებს უნივერსიტეტის საგარეო ურთიერთობისა და განვითარების სამსახური.

„ხარისხის მართვა და ტექნიკური ეკონომიკური ექსპერტიზა“ პროგრამის სტუდენტთან და კურსდამთავრებულთან გასაუბრებით არ დადასტურებულა მათ მიერ გაცვლით პროგრამებში მონაწილეობა. თუმცა, ისინი იღებდნენ ინფორმაციას ამ უკანასკნელის შესახებ და ეს იყო მათი პირადი არჩევანი.

ზოგადად, უნივერსიტეტში პერიოდულად ტარდება სტუდენტური კონფერენციები, დარგობრივი სემინარები, რომლებშიც სტუდენტებს აქვთ საშუალება მიიღონ მონაწილეობა. ამ კუთხით უშუალოდ საქმიანობას წარმართავს კვლევის მხარდაჭერის და განვითარების ცენტრი. მისი მთავარი მიზანია ხელი შეუწყოს კვლევითი აქტივობების



განვითარებას როგორც აკადემიურ პერსონალში, ისე სტუდენტებში. კურსდამთავრებულთან და სტუდენტთან ინტერვიუების დროს მათ ექსპერტთა ჯგუფთან დაადასტურეს, რომ ისინი იღებდნენ მონაწილეობას სტუდენტურ კონფერენციებში. თუმცა, ვიზიტის დროს უნივერსიტეტს რაიმე დამადასტურებელი დოკუმენტაცია (გაცვლით პროგრამებში ან საერთაშორისო კონფერენციებში ბაკალავრიატის სტუდენტთა ჩართულობის დამადასტურებელი) ამის შესახებ არ წარუდგენია. არც თვითშეფასების ანგარიშსა და შესაბამის დანართებში არ იძებნება მსგავსი ინფორმაცია (აღნიშნული ახსნილია იმით, რომ პროგრამა სტატუსი როგორც ასეთი არის „ახალი“).

ყველა სასწავლო კურსის სილაბუსში ფიქსირდება ლექტორის საკონტაქტო ინფორმაცია: საკონტაქტო ტელეფონი, ელექტრონული ფოსტის მისამართი. აკადემიური პერსონალისთვის სტუდენტთა კონსულტირების გრაფიკი უმეტეს შემთხვევაში გაწერილია და წარმოდგენილია სილაბუსში, ან ხდება დაზუსტება ყოველ სემესტრის დასაწყისში და ეცნობებათ სტუდენტებს. ინტერვიუს შედეგებზე დაყრდნობით სტუდენტებიც და კურსდამთავრებულებიც ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალისგან იღებენ მათთვის აუცილებელ კონსულტაციებს და საჭირო ინფორმაციას.

სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და მიღწევების გასაუმჯობესებლად აუცილებელი ინფორმაცია (სასწავლო გეგმა, სასწავლო ბარათი, მიმდინარე შეფასებები, მნიშვნელოვანი ინფორმაცია, მათ შორის სხვადასხვა ადგილობრივი და საერთაშორისო პროექტის და ღონისძიების შესახებ) სტუდენტისათვის ხელმისაწვდომია მათ პირად „ელექტრონულ დეკანატში“ (იხ. ბმული: <http://edean.atsu.edu/ge/dekanati/>), აქვეა, შესაძლებელი აპელაციის ან სხვა ტიპის განცხადების

ინტერვიუს შედეგების საფუძველზე დასტურდება, რომ უნივერსიტეტში ტარდება სხვადასხვა გამოკითხვა. თუმცა, კონკრეტულად რას ეხება მოცემული გამოკითხვა ექსპერტთა ჯგუფმა ორაზროვანი პასუხები მიიღო, იყო ეს ლექტორის თუ კურსის შეფასება ან სხვ.. ამასთან, უნივერსიტეტის მიერ გადმოგზავნილი გამოკითხვის ფორმებში ჩადებული ერთადერთი სტუდენტური და კურსდამთავრებულთა გამოკითხვის ფორმები არის იდენტური და ეხება მხოლოდ „ძველი“ პროგრამის დახვეწის და სრულყოფის საკითხებს. სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუების დროს ხშირად იყო ნახსენები, რომ ახალ პროგრამაში არის გათვალისწინებული ამ უკანასკნელთა აზრი, თუმცა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას არ წარმოუდგენია სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები ან მათი გამოყენების შესახებ ინფორმაცია.

აღნიშვნის ღირსია, რომ როგორც კურსდამთავრებულებთან გასაუბრებიდან გამოირკვა ყველა მათგანი არის დასაქმებული კვალიფიკაციის შესაბამისად.

#### მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსები;
- უნივერსიტეტის ოფიციალური ვებ-გვერდი, იხ. ბმული: <https://atsu.edu/ge/>
- „ელექტრონული დეკანატი“, იხ. ბმული: <http://edean.atsu.edu/ge/dekanati/>
- სტუდენტთა მხარდაჭერისა და განვითარების სამსახურის დებულება, იხ ბმული: <https://atsu.edu/ge/debulebebi/%e1%83%a1%e1%83%a2%e1%83%a3%e1%83%93%e1%83%94%e1%83%9c%e1%83%a2%e1%83%97%e1%83%90-%e1%83%9b%e1%83%ae%e1%83%90%e1%83%a0%e1%83%93%e1%83%90%e1%83%ad>

<p><a href="#">%e1%83%94%e1%83%a0%e1%83%98%e1%83%a1%e1%83%90-%e1%83%93%e1%83%90-%e1%83%92%e1%83%90%e1%83%9c%e1%83%95%e1%83%98%e1%83%97%e1%83%90%e1%83%a0%e1%83%94%e1%83%91%e1%83%98%e1%83%a1-%e1%83%a1%e1%83%90%e1%83%9b%e1%83%a1%e1%83%90%e1%83%ae%e1%83%a3%e1%83%a0%e1%83%98.pdf</a></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ კურსდამთავრებულთა ქსელი, იხ. ბმული: <a href="https://alumni.atsu.edu/ge/login/">https://alumni.atsu.edu/ge/login/</a></li> <li>○ სტუდენტებთან/კურსდამთავრებულებთან ინტერვიუების შედეგები.</li> </ul>
--

<p>რეკომენდაციები:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ აუცილებელია, სტუდენტებს ჰქონდეთ შესაძლებლობა, ჩაერთონ საერთაშორისო და ადგილობრივ დარგობრივ პროექტებში, ღონისძიებებში, კონფერენციებსა და კვლევებში, ისარგებლონ გაცვლითი პროგრამით.</li> </ul>
--

<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ კურსდამთავრებულთა ქსელის არსებობა</li> <li>○ აპლიკაცია ATSUNews</li> </ul>
--

<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p>
--

<p>შეფასება</p> <ul style="list-style-type: none"> <li><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</li> </ul>
--

<p><b>3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა</b></p>
<p>მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p>
<p>რეკომენდაციები:</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p>
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p>
<p>შეფასება</p>



<input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
<input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
<input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
<input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა**

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა		√		

**4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა**

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

**4.1 ადამიანური რესურსი**

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარ პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე 26 პირი, რომელთაგანაც 26 წარმოადგენს აკადემიურ პერსონალს -5 პროფესორი, 13 ასოცირებული პროფესორი და 1 ასისტენტ პროფესორი. აკადემიური პერსონალიდან 19 აფილირებულია. პროგრამაში ჩართულია 4 მოწვეული პერსონალი. მათთან გასაუბრებია და პირადი საქმეების

შესწავლის საფუძველზე დგინდება რომ თითოეულ მათგანს გააჩნია პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;

პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა შეესაბამება პროგრამით გათვალისწინებულ დატვირთვას და უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვასა და მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი 26:4 უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.

პროგრამას ჰყავს 2 ხელმძღვანელი, რომელთა პირადი საქმეების გაცნობითა და გასაუბრებით დგინდება, რომ გააჩნიათ პროგრამის შემუშავებისათვის და განვითარებისთვის საჭირო ცოდნა, ორივე მათგანი წლების განმავლობაში ახორციელებს სწავლებასა და კვლევებს დარგის მიხედვით და უშუალოდ არიან ჩართულები პროგრამის განხორციელებაში;

პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ პერსონალს და ხელმძღვანელებს გამოქვეყნებული აქვთ შრომები როგორც საქართველოს, ასევე საერთაშორისო მაღალრეიტინგულ სამეცნიერო ჟურნალებში, მათ შორის Scopus-ს და ERISH PLUS-ს მონაცემთა ბაზაში შემავალ ჟურნალებში. პროგრამის ზოგადი კურსების წაკითხვა ხორციელდება შესაბამისი დეპარტამენტების აკადემიური პერსონალის მიერ.

პროგრამები უზრუნველყოფილია სათანადო კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული პერსონალითა და კვალიფიციური დამხმარე პერსონალით.

გამომდინარე აქედან, პროგრამის სტუდენტები, უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

- მტკიცებულებები/ინდიკატორები
- პროგრამის ხელმძღვანელების პირადი საქმეები;
  - პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმეები;
  - ფაკულტეტის სტუქტურა.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- შეფასება
- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
  - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
  - ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
  - არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტი რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს.

ამ მიზნით ხორციელდება სამეცნიერო კვლევების, სწავლის, სწავლებისა და სამეცნიერო კვლევის პროცესის ინტეგრირების, ხარისხის უზრუნველყოფის ეფექტური მეთოდების გამოყენებით სწავლებისა და კვლევის ხარისხის, საგამომცემლო საქმიანობის, სახელმძღვანელოებისა და სამეცნიერო კვლევების შედეგების გამოქვეყნების, საქართველოსა და უცხოეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობისა და ევროპულ საგანმანათლებლო და სამეცნიერო სივრცეში ინტეგრაციის, საქართველოსა და უცხოეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ერთად ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამებისა და სამეცნიერო-კვლევითი პროექტების განხორციელების ხელის შეწყობა. პრიორიტეტული კვლევითი მიმართულებების განვითარების მიზნით უნივერსიტეტი გამოყოფს ფინანსურ, მატერიალურ და ადამიანურ რესურსებს. ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ ერთობლივი კვლევითი პროექტების განხორციელების მიზნით უნივერსიტეტი ცდილობს საერთაშორისო და საქართველოს პარტნიორ უნივერსიტეტებთან ერთად კვლევითი ქსელების შექმნასა და/ან არსებულში ჩართვას.

პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის ეფექტურობის შეფასებისათვის უნივერსიტეტში გამოიყენება ყოველწლიური ანგარიშები, ასევე შიდა შეფასების პროცედურით გათვალისწინებული სტუდენტთა, აკადემიური პერსონალისა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგები. მაგ. პროგრამაში განხორციელდა სასწავლო კურსების კრედიტების დაზუსტება, უცხოური ენების სილაბუსების გადამუშავება ათვისების დონის მიხედვით, არჩევითი სასწავლო კურსების გადალაგება სემესტრების მიხედვით, შეფასების სისტემის დახვეწა, სასწავლო კურსების კონსპექტების განახლება და სხვ.

პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი ეწევა აქტიურ საგანმანათლებლო და კვლევით საქმიანობას, რასაც ადასტურებს მათ მიერ წარმოებული კვლევები და გრანტებში მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტები. მაგ. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მიერ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფინანსებით შესრულებულია 8 საგრანტო პროექტი; ხოლო საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების მიერ დაფინანსებულია 2 სამეცნიერო გრანტი.

ფაკულტეტი ზრუნავს პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი ხშირად მონაწილეობს სხვადასხვა სახის ტრენინგებში, სემინარებში, პროფესიულ და ხარისხის უზრუნველყოფის დარგობრივ ღონისძიებებში. დეპარტამენტის აკადემიური პერსონალი მაგისტრატურის და დოქტორანტურის სტუდენტებთან ერთად აქტიურად მონაწილეობენ საერთაშორისო და ადგილობრივ კონფერენციებსა და ფორუმებში. აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარებისათვის აუცილებელი ენობრივი კომპეტენციების ამაღლებისათვის, რომელიც

დღეისათვის ერთ-ერთ გასაუმჯობესებელ მხარეს წარმოადგენს.
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმეები;</li> <li>○ საინჟინრო-ტექნიკური ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ანგარიში;</li> <li>○ პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან ინტერვიუს შედეგები.</li> </ul>
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
<p>შეფასება</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<b>4.3 მატერიალური რესურსი</b>
<p>პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი „საწარმოო პროდუქციის ხარისხის მართვა და ტექნიკური ექსპერტიზის“ საბაკალავრო პროგრამა უზრუნველყოფილია უნივერსიტეტის სასწავლო აუდიტორიებით, სასაწავლო-კვლევითი ლაბორატორიებით, კომპიუტერული კლასებით, ბიბლიოთეკო რესურსებით. სასწავლო აუდიტორიები და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ნაწილი არის მოძველებული, რასაც აცნობიერებს დაწესებულება და თუმცა, უნივერსიტეტის ლაბორატორიული ინფრასტრუქტურა სრულად უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას, უნივერსიტეტი გეგმავს დამატებით მოახდინოს სასაწავლო-კვლევითი ლაბორატორიების ინფრასტრუქტურის შემდგომი მოდერნიზება.</p> <p>პროგრამის განსახორციელებლად საჭირო მეთოდური მასალა და ლიტერატურა სრულად უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას და შეესაბამება დარგის თანამედროვე მიღწევებს. პროგრამის ყველა კურსი უზრუნველყოფილი შესაბამისი ძირითადი ლიტერატურით. სახელმძღვანელოები წარმოდგენილია ბიბლიოთეკის ფონდის საცავში. უნივერსიტეტის საბიბლიოთეკო ფონდი, რომელიც ჩართულია საერთაშორისო სამიხედულ სისტემაში, უზრუნველყოფს დარგის მიმართულებით უახლესი მიღწევების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობას. ბიბლიოთეკას გააჩნია წვდომა საერთაშორისო ელექტრონულ ბაზებზე. სტუდენტები ინფორმირებულები არიან არსებული რესურსების</p>

გამოყენების შესაძლებლობის და მოხმარების წესების შესახებ.  
 აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტისთვის მნიშვნელოვან მიღწევას წარმოადგენს ახლად აშენებული თანამედროვე სტანდარტების ბიბლიოთეკის კომპლექსი.  
 როგორც დაწესებულების წარმომადგენლებმადა სტუდენტებმა აღნიშნეს, ვიზიტის ფარგლებში, უნივერსიტეტში სტუდენტებისთვის შექმნილია ელექტრონული პორტალი, რომლის საშუალებითაც მათ წვდომა აქვთ ინდივიდუალურ შეფასებებზე, სილაბუსებზე, ცხრილზე, დაგროვებულ კრედიტებზე. თუმცა გადამოწმებისას პორტალი არ მუშაობდა. მათ არ ჰქონდათ შესაძლებლობა წვდომა ჰქონოდათ საკუთარ ცხრილზე, სილაბუსებზე და ა.შ. ვიზიტისას დაფიქსირდა, რომ ხარვეზის ფონზე სტუდენტები უნივერსიტეტში განთავსებული საინფორმაციო დაფებით სარგებლობდნენ და ამ გზით იღებდნენ ცხრილის შესახებ ინფორმაციას. ელექტრონული პორტალის გამართულად მუშაობა ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ის უზრუნველყოფს სტუდენტის დროისა და რესურსის დაზოგვას. covid-19 ვირუსის გამო შექმნილ ვითარებაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სტუდენტებისათვის ინფორმაციის ელექტრონული გზით მიწოდებას.

- მტკიცებულებები/ინდიკატორები
- საბაკალვრო პროგრამა;
  - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სააუდიტორიო და ლაბორატორიული ინფრასტრუქტურა;
  - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის სამეცნიერო-ტექნიკური ბიბლიოთეკის ფონდი.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
- უნივერსიტეტს გააჩნია ახლად აშენებული თანამედროვე სტანდარტების ბიბლიოთეკის კომპლექსი.

- შეფასება
- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
  - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
  - ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
  - არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა**

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი დაწესებულების ხელმძღვანელობასთან ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ პროგრამის ფინანსურ უზრუნველყოფას ახორციელებს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი საერთო ბიუჯეტიდან. დაწესებულებას შეუძლია საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფა და ამასთან, ვინაიდან ისინი მიიჩნევენ პერსპექტიულ მიმართულებად აღნიშნულ დარგს, ეჭვგარეშეა რომ პროგრამის განხორციელებისთვის გამოყოფილი იქნება საუნივერსიტეტო ბიუჯეტიდან სათანადო ფინანსური რესურსი.

აღნიშნულის მტკიცებულებაა დამატებით ის ფაქტი, რომ ბიუჯეტის დაგეგმვისას თავისუფალი თანხის რაციონალურად და ეფექტიანად ხარჯვის მიზნით ბოლო წლების მანძილზე ხორციელდება ფაკულტეტების მიერ წარდგენილი პროექტების (საბიუჯეტო განაცხადების) შესაბამისად საერთო ბიუჯეტის ფარგლებში მათთვის ხარჯვის ლიმიტის გამოყოფა. ხარჯვის ლიმიტი არის ფაკულტეტებისათვის საერთო ბიუჯეტის ფარგლებში გამოყოფილი თანხის ხარჯვის გადაწყვეტის უფლება, ფაკულტეტების საჭიროებებიდან გამომდინარე ყოველწლიური პრიორიტეტების დოკუმენტის შესაბამისად. უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ მტკიცდება როგორც საბიუჯეტო პრიორიტეტების დოკუმენტი, ასევე ხარჯვითი ლიმიტის მოცულობა. ყოველწლიურად ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში ხდება ფაკულტეტების საპროექტო განაცხადების წარდგენა უნივერსიტეტი სტრატეგიული განვითარების გეგმისა და ფაკულტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმის პრიორიტეტების შესაბამისად.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს დადგენილება №175 - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროგრამების ფინანსური უზრუნველყოფის დასაბუთების პრინციპების შესახებ;
- დაწესებულების ადმინისტრაციულ პერსონალთან ინტერვიუს შედეგები.

**რეკომენდაციები:**

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

**შეფასება**

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა**

სტანდარტი	შესაბამისობაშია	მეტწილად	ნაწილობრივ	არ	არის
-----------	-----------------	----------	------------	----	------



	მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			

## 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და ანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

### 5.1 შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტში ხარისხის შიდა უზრუნველყოფის პროცესის ხორციელდება 2018 წლის 9 თებერვლის აკადემიური საბჭოს N49(17/18) დადგენილების „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია“ შესაბამისად, რომლის მიხედვით განსაზღვრული სამი ძირითადი პოლიტიკიდან ერთერთი მთავარია საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა და ეფუძნება პრინციპს - "დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, განავითარე". იგი ხორციელდება შემდეგი პროცედურების დაცვით: საგანმანათლებლო პროგრამის ინიცირება, დაგეგმვა და დამტკიცება; საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება; მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების პროცედურა. ინტერვიუს წარმართვისას გაირკვა, რომ მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისთვის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური იყენებს შემდეგ ინდიკატორებსა და კრიტერიუმებს: სტუდენტთა, აკადემიური პერსონალის, დამსაქმებლების და კურსდამთავრებულების კმაყოფილების კვლევას პროგრამის სწავლის შედეგებით, სტუდენტთა აკადემიური მოსწრებისა და სწავლის შედეგების მიღწევის ანალიზის შედეგებს, კურსდამთავრებულთა კვალიფიკაციის შესაბამისად დასაქმების მაჩვენებელს, სტუდენტთა რაოდენობის დინამიკაზე დაკვირვებას, სტუდენტთა ინფორმირებისა და მათ ჩართულობას სხვადასხვა საუნივერსიტეტო, ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებში, სტუდენტებისა და პერსონალის საერთაშორისო მობილობის მაჩვენებლებს, პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის განვითარების აქტივობებს, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მდგომარეობას.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე და პერსონალთან ინტერვიუს შედეგებით დგინდება, რომ პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში. კერძოდ, დარგობრივი დეპარტამენტის აკადემიური პერსონალის ჩართულობით მოხდა პროგრამის შემუშავება, ცალკეული სილაბუსების



ძირითადი შინაარსისა და სწავლის შედეგების განხილვა, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ჩართული იყო პროცესში.

გარდა ამისა, შიდა ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებში მონაწილეობას იღებს დაწესებულების ადმინისტრაცია, სხვადასხვა სამსახურები, სტუდენტები და სტუდენტური თვითმმართველობა, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები.

საკრედიტაციოდ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისათვის გამოყენებული იქნა: აკრედიტაციის სტანდარტებით მოთხოვნილი ყველა კომპონენტისთვის სტატისტიკური მონაცემების შეკრება და ანალიზი, გარე შეფასებისას დაფიქსირებული რეკომენდაციების შესრულების ანალიზი, კოლეგიალური შეფასება, დაინტერესებულ მხარეთა გამოკითხვის შედეგების ანალიზი, პროგრამის SWOT ანალიზი. მიუხედავად იმისა, რომ აკრედიტაციის ვიზიტის ფარგლებში შესწავლილი დოკუმენტაციის მიხედვით დგინდება რომ შიდა ხარისხის სამსახური პროგრამაში ჩართულ პერსონალთან ერთად ახდენს პროგრამის შეფასებას და ზრუნავს გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოფხვრაზე, სასურველია ამ პროცესის დახვეწა და დეტალებზე ორიენტირებული მიდგომა, რაც მომავალში უზრუნველყოფს პროგრამის მეტად დახვეწასა და გაუმჯობესებას.

- მტკიცებულებები/ინდიკატორები
- „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია“. აკადემიური საბჭოს დადგენილება - №49 (17/18), 09.02.2018 წელი;
  - უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ანგარიშები;
  - უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სხდომის ოქმები;
  - დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
- შიდა ხარისხის სამსახურის მიერ სამუშაოების ჩატარებისას სასურველია განხორციელდეს დეტალებზე ორიენტირებული მიდგომა, რაც მომავალში უზრუნველყოფს პროგრამის მეტად დახვეწასა და გაუმჯობესებას.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- შეფასება
- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
  - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
  - ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
  - არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

<p>5.2 გარე ხარისხის შეფასება</p>
<p>პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამების გარე შეფასების მიზნით უნივერსიტეტი თანამშრომლობს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან, საქართველოში მოქმედ ავტორიზებულ უნივერსიტეტებთან, სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან და საგანმანათლებლო დაწესებულებებთან. უნივერსიტეტის წარმომადგენელთა შეხედულებით, მნიშვნელოვანია როგორც თავად შეფასების პროცესის შედეგად მიღებული გამოცდილება, ასევე შეფასების შედეგები, რომელთა გათვალისწინებით ისინი ისახავენ პროგრამების გაუმჯობესების ღონისძიებებს.</p> <p>საკრედიტაციოდ წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით ირკვევა, რომ პროგრამა შეფასებული იქნა სტუ-ს შესაბამისი პროფილის დეპარტამენტის პროფესორის მიერაც, რომელსაც გააჩნდა რიგი მოსაზრებები მისი დახვეწისა და გაუმჯობესების მიმართულებით, რომელიც ასევე გაითვალისწინა დაწესებულებამ.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „საწარმოო პროდუქციის ხარისხის მართვა და ტექნიკური ექსპერტიზა“</li> <li>○ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „საწარმოო პროდუქციის ხარისხის მართვა და ტექნიკური ექსპერტიზა“ გარე შეფასების დოკუმენტები.</li> </ul>
<p>რეკომენდაციები:</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p>
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p>
<p>შეფასება</p> <ul style="list-style-type: none"> <li><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</li> </ul>

<p>5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება</p>
<p>პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.</p>

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში ხარისხის სამსახური ყოველწლიურად ახორციელებს მოქმედი პროგრამების მონიტორინგს, საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისა და პერსონალის პროფესიული განვითარების ხარისხის შეფასებას, სტუდენტების, კურსდამთავრებულების კმაყოფილების კვლევასა და შედეგების ანალიზს. პროგრამა იყენებს განმავითარებელ კოლეგიალურ შეფასებას. მაგ. ერთერთი კვლევისას დაფიქსირდა მოთხოვნა უცხო ენების კომპეტენციების გაძლიერებასთან დაკავშირებით, კოლეგიალური შეფასებისას გამოვლინდა სასწავლო კურსებში პრაქტიკის კომპონენტის გაზრდა, მოლექულარულარული და ზოგადი ქიმიის კურსის დამატების საჭიროება, რაც აისახა პროგრამაში.

სტუდენტები სასწავლო წლის ბოლოს კითხვარების მეშვეობით ფაკულტეტის, სასწავლო კურსების შესახებ გამოხატავენ საკუთარ შთაბეჭდილებებს.

პროგრამის დადარება ხდება სლოვაკეთის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის, იდენტურ სასწავლო პროგრამასთან და იგეგმება ერთობლივ საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამაზე მუშაობა.

დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლები და პროგრამის განმახორციელებლები შეფასების შედეგებს იყენებენ პროგრამის გასაუმჯობესებლად.

- მტკიცებულებები/ინდიკატორები
- „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია“.
  - აკადემიური საბჭოს დადგენილება - №49 (17/18), 09.02.2018 წელი;
  - უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ანგარიშები;
  - უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სხდომის ოქმები;
  - დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- შეფასება
- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
  - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
  - ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
  - არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა**

სტანდარტი	შესაბამისობაშია	მეტწილად	ნაწილობრივ	არ	არის
-----------	-----------------	----------	------------	----	------

	მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)  
 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური:

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „საწარმოო პროდუქციის ხარისხის მართვა და ტექნიკური ექსპერტიზა“


დასკვნის გვერდების რაოდენობა: 34

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		✓		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა		✓		
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე

ნია ნათბილაძე



აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ი

ქეთევან დავითაძე



თეა ნარეკლიშვილი



ნინო ტალიკაძე

